

საგრანტო განაცხადის ფორმა

ორგანიზაციის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	
ორგანიზაციის დასახელება და აბრევიატურა	საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ (PMMG)
ორგანიზაციაში პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი	არნოლდ სტეპანიანი
საფოსტო მისამართი	დ. უზნაძის ქ. 117, 0102 თბილისი, საქართველო
ტელეფონის ნომერი	+ 99532 296 21 25
მობილური ტელეფონის ნომერი	+995 595 95 95 65
URL /ვებ-გვერდის მისამართი და ელექტრონული ფოსტის მისამართი	ელ. ფოსტა: arnostep@yahoo.com ვებ.გვერდი: www.pmmg.org.ge
ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე პარტნიორი ორგანიზაცია	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
1. პროექტის სახელწოდება	
„ხელი შეეწყოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მძიმე სოციალური და ეკონომიკური კლიმატის გაჯანსაღებას ადგილზე არსებული ტურისტული პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების გზით“	

საგრანტო განაცხადი/საპროექტო წინადადება (მაქს. 250 სიტყვა) ²
წარმოდგენილი საქპროექტო განაცხადი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მძიმე სოციალური და ეკონომიკური კლიმატის გაჯანსაღებას. აღნიშნულის მიზნით პროექტი მოწოდებულია წახალისოს და წვლილი შეიტანოს

ადგილზე არსებული ტურისტული პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პროექტის ამოცანებია: ა) კომპლექსურად შეისწავლოს და დაინტერესებულ მხარეებს გაუზიაროს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული პოტენციალი, ისევე როგორც მისი ჯეროვნად გამოყენებისათვის საჭირო ხედვები და კონკრეტული ინიციატივები; ბ) ხელი შეუწყოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ვიტიზორთა სრულფასოვან ორიენტაციას; გ) განავითაროს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მოქმედი მცირე და საშუალო ზომის მეწარმეების, ასევე დამწყებების შესაძლებლობები ტურიზმზე ორიენტირებული სამეწარმეო საქმიანობის მართვის სფეროში.

პროექტის რეალიზება საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელს გახდის სრულფასოვნად გაანალიზდეს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის არსებული შესაძლებლობები, პრობლემები და გამოწვევები და აღნიშნულის შედეგად შემუშვდეს შესაბამისი სახელმწიფო მიდგომები და ხედვები ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის. გარდა აღნიშნულისა, პროექტი ხელს შეუწყობს ვიტიზორთა სრულფასოვან ორიენტაციას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რაც შექმნის სასურველ გარემოს მათი დასვენებისა და თავისუფალი დროის ეფექტურად გამოყენებისათვის. უფრო მეტიც, პროექტის ფარგლებში მომზადებული მცირე და საშუალო ზომის მეწარმეები შეძლებენ წარმატებით გაართვან თავი ტურიზმზე ორიენტირებული სამეწარმეო საქმიანობის მართვას, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს მათ ფინანსურ მდგრადობას, გააჩენს ახალ სამუშაო ადგილებს და გამომდინარე აღნიშნულიდან შეამსუბუქებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ რისკებს.

პროექტის ფარგლებში მიღწეული მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები თავისი არსით სრულად ეხმიანება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 სექტემბრის N 1365 განკარგულებით დამტკიცებულ ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიას, ისევე როგორც თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების ხედვებს, რომელთა ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ტურიზმისა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს.

<p>გთხოვთ მიუთითოთ პროექტის განხორციელების ზუსტი ადგილე/ები/</p>	<p>თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, ქვემო ქართლის რეგიონი</p>
<p>ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა <i>(პირდაპირი თუ ირიბი)</i>³</p>	<p>თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, რომლებიც სარგებელს მიიღებენ ადგილობრივ დონეზე ტურიზმის განვითარების მეშვეობით, იმდენად რამდენადაც შეიქმნედა დამატებითი სამუშაო</p>

	ადგილები და გაჩნდება მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილის სოციალური ადაპტაციის შესაძლებლობა.
ადგილობრივი ან ეროვნული, პარტნიორი ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)	9 თვე

1. პრობლემის ფორმულირება:

(მაქს. 250 სიტყვა)⁴

მიუხედავად იმისა, რომ თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი გეოგრაფიულად ახლოსაა საქართველოს დედაქალაქთან, იგი კლავ რჩება ერთ-ერთ სოციალურად და ეკონომიკურად მოწყვლად არეალად ქვემო ქართლის რეგიონში. ყოფითი სიდუხჭირე ძირითადად განპირობებულია ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით, რაც საბოლოო ჯამში ზღუდავს და აქვეითებს ადილობრივი მოსახლეობის როგორც შესაძლებლობების გაფართოებას, ასევე მათი სოციალური განვითარებისათვის მდგრადი გარემოს ფორმირების პერსპექტივას.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს გააჩნია ეკონომიკური განვითარების მზარდი პოტენციალი, მათ შორის ტურიზმის სფეროში, იგი ნაკლებად არის შესწავლილი, შეფასებული და გამოყენებული. ადგილზე არსებობს ტურისტული მეურნეობის განვითარების ფართო შესაძლებლობები, მათ შორის ისეთ მიმზიდველ დარგებში როგორებიცაა: სპორტული სახეობათა ტურიზმი (ჯომარდობა - მდ. ხრამი, სამთო ველოტურიზმი, ცხენოსნობა და სხვ.), სპალეოლოგია (სამშვილდის ქვაბები, მეგუთის ქვაბები), სპეციალიზირებული ტურიზმი (არქეოლოგია), ეკოტურიზმი, ეთნოტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, ოჯახური ტურიზმი, აგროტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი (მანგლისი).

გარდა აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტში უკვე არსებობს ტურისტული მარშრუტები, რომლებიც ნაკლებად რეალიზებულია, ასევე არასრული (თეთრიწყარო-სამების მთა-ნადარბაზევი, ფარცხისის ციხე-ბირთვისი-ალგეთის წყალსაცავი, გუდარეხის ციხე-კოშკი, ასურეთი-კაბენის მონასტერი-გამოქვაბულები, სამშვილდე-პირღებულის მონასტერი, ფიტარეთის მონასტერი-ხულუტის ციხე, მანგლისის სიონი-დასასვენებელი წიწვოვანიპარკი, წვერის წმ.გიორგი-დიდგორისველი-ვერეს ხეობა, კლდეკარის ციხე-შეხვეტილა, სოფ.კლდეისი, გოხნარის ლოდოვანი-ახალსოფელი ბედენი). ასევე

საგულისხმოა ღირსშესანიშნაობები (ისტორიული სოფლები - ასურეთი, ციხეები, კოშკები - კლდეკარის ციხე, ბირთვისის ციხე, ეკლესია მონასტრები - ფიტარეთი, მანგლისის სიონი, გუდარები, სამშვილდე, აბელიანი, პირღებული, ისტორიული სასახლეები- ორბელიანის სასახლე, ნადარბაზევი), რომლებიც ტურიზმის სხვა სახეობებთან ერთად ხელს შეუწყობდა ეთნოტურიზმის განვითარებას.

მიუხედავად აღნიშნულისა ცენტრალურ, ისევე როგორც ადგილობრივ დონეზე არ არსებობს რაიმე სახის კომპლექსური დოკუმენტი, რომელიც ზუსტად აღწერდა მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს, ისევე როგორც წარმოადგენდა გრძელვადიან ხედვას ტურისტული სექტორის განვითარების პრიზმაში.

გარდა ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის სრულფასოვნად განუსაზღვრელობისა სახეზეა რიგი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან ამ დარგის განვითარებას, მათ შორის: რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის არ არსებობა, მოგზაურთა სააგენტოს არ არსებობა, ტურისტული მომსახურების ობიექტებში მომსახურე პერსონალის პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის სიმწირე, ტურიზმის სფეროში დამწყები ბიზნესმენების ცოდნისა და უნარების სიმწირე, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე, ტურისტული რუკების, გზამკვლევებისა და ბროშურების არ არსებობა, საკურორტო დასახლებებში ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და სხვა.

პროექტის სტრატეგია

შედეგების ანალიზი:

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მძიმე სოციალური და ეკონომიკური კლიმატის გაჯანსაღებას ადგილზე არსებული ტურისტული პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების გზით.

პროექტის ამოცანებია:

ა) კომპლექსურად შეისწავლოს და დაინტერესებულ მხარეებს გაუზიაროს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული პოტენციალი, ისევე როგორც მისი ჯეროვნად გამოყენებისათვის საჭირო ხედვები და კონკრეტული ინიციატივები;

ბ) ხელი შეუწყოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ვიტიზორთა სრულფასოვან ორიენტაციას;

გ) განავითაროს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მომქმედი მცირე და საშუალო ზომის მეწარმეების, ასევე დამწყებების შესაძლებლობები ტურიზმზე ორიენტირებული

სამეწარმეო საქმიანობის მართვის სფეროში.

შესაბამისად, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში პროექტის რეალიზება შესაძლებელს გახდის სრულფასოვნად გაანალიზდეს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის არსებული შესაძლებლობები, პრობლემები და გამოწვევები და აღნიშნულის შედეგად შემუშვდეს შესაბამისი სახელმწიფო მიდგომები და ხედვები ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

გარდა აღნიშნულისა, პროექტი ხელს შეუწყობს ვიზიტორთა სრულფასოვან ორიენტაციას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რაც შექმნის სასურველ გარემოს მათი დასვენებისა და თავისუფალი დროის ეფექტურად გამოყენებისათვის. უფრო მეტიც, პროექტის ფარგლებში მომზადებული მცირე და საშუალო ზომის მეწარმეები შეძლებენ წარმატებით გაართვან თავი ტურიზმზე ორიენტირებული სამეწარმეო საქმიანობის მართვას, რაც თვის მხრივ გაზრდის მათ ფინანსურ მდგრადობას, გააჩენს ახალ სამუშაო ადგილებს და გამომდინარე აღნიშნულიდან შეამსუბუქებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ რისკებს.

პროექტის ფარგლებში მიღწეული მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები თავისი არსით სრულად ეხმიანება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 სექტემბრის N 1365 განკარგულებით დამტკიცებულ ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიას, ისევე როგორც თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების ხედვებს რომელთა ერთერთ მთავარ ამოცანას ტურიზმის განვითარება და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს.

ქმედებების ანალიზი:

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება

პროექტის ფარგლებში მოწვეული იქნება მაღალი კვალიფიკაციის მქონე 2 ექსპერტი, რომელიც უზრუნველყოფს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას. დოკუმენტი დაიყოფა სამ ნაწილად.

დოკუმენტის პირველი ნაწილი მთლიანად დაეთმობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული პოტენციალის შესწავლას და იდენტიფიკაციას, მათ შორის ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებში, როგორებიცაა: ეკოტურიზმი, ეთნოტურიზმი, სპორტული ტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, ოჯახური ტურიზმი, აგროტურიზმი, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ტურიზმი. შესაბამისად დოკუმენტის პირველი ნაწილი ატარებს აღწერილობით ხასიათს, რომელიც თავს მოუყრის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა ტურისტული პოტენციალის მატარებელ ობიექტს. დოკუმენტის ეს ნაწილი იქნება დასურათებული, რათა სრულფასოვანი შესაძლებლობა შეიქმნას ადგილზე არსებული პოტენციალის ვიზუალური აღქმისათვის.

დოკუმენტის მეორე ნაწილი დაეთმობა ადგილზე არსებული ტურისტული პოტენციალის გამოყენების სტატუსის/შესაძლებლობების ანალიზს და პასუხს გასცემს ისეთ კითხვებს, როგორებიცაა: თუ რა მდომარეობაში იმყოფება თითოეული ობიექტი; საჭიროა თუ არა რეაბილიტაცია და რა სახის; რა დამატებითი პრობლემების და გამოწვევების წინაშე დგას მუნიციპალიტეტი იდენტიფიცირებული ტურისტული მიმართულებების განსავითარებლად. აღნიშნულ ნაწილში მოცემული იქნება ტურისტული პოტენციალის განვითარების სუსტი და ძლიერი მხარეების ანალიზი, ისევე როგორც განისაზღვრება არსებული რისკები და შესაძლებლობები.

დოკუმენტის მესამე ნაწილი პირველ და მეორე ნაწილებზე დაყრდნობით დაეთმობა კომპლექსური ხასიათის რეკომენდაციებს, რომელთა რეალიზებაც ხელს შეეწყობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ტურისტული პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებას.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების გრძელვადიანი სტრატეგია ინდივიდუალური პრეზენტაციების მოწყობის მეშვეობით წარედგინება პრემიერ-მინისტრის აპარატს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამინისტროს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, საპარტნიორო ფონდს, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციასა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს, მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაარსებულ თეთრიწყაროს მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელიც შემდგომში გამოიყენებს სტრატეგიას თავის საქმიანობაში.

პრეზენტაციების მიზანია უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის დონის ამაღლება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის არსებული შესაძლებლობების, პრობლემებისა და გამოწვევების თაობაზე, რათა შემუშავდეს შესაბამისი სახელმწიფო მიდგომები და ხედვები ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

2. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის არსებული ტურისტული ობიექტების საპრეზენტაციო ბროშურისა და ვიზიტორთა გზამკვლევის შემუშავება, ასევე რუქის შედგენა:

პროექტის აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების საპრეზენტაციო ბროშურისა და ვიზიტორთა

გზამკვლევის შემუშავებას, ასევე რუქის შედგენას, რაც მუნიციპალიტეტის ვიზიტორებს გაუადვილებს ადგილზე არსებული ღირსშესანიშნაობების მონახულებას, ისევე როგორც ადგილზე ორიენტაციასა და დაბინავებას/კვებას.

აღნიშნულის მიზნით გზამკვლევაში შევა ყველა არსებული ტურისტული მარშრუტი/ობიექტები, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს, შესაბამისი რუქით; კარვის გასაშლელი მიდამოები; მოცემული იქნება ადგილზე არსებული ტრადიციული სამზარეულოს დაგემოვნების შესაძლებლობები; დატანილ იქნება იმ არსებული/პოტენციური სერვის-ობიექტების/ინდივიდუალური პირების საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შესწევთ ვიზიტორთა დაბინავების, ან მათთვის რაიმე სახის მომსახურების გაწევის უნარი (გაცილება, ტრანსპორტით მომსახურება, დაცვა, თარჯიმნობა და სხვა).

გზამკვლევის შემუშავების პროცესში საპროექტო გუნდი ფართოდ დაეყრდნობა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების პროცესში მოძიებულ ინფორმაციას. გარდა აღნიშნულისა, სპეციალური კონსულტაციები იქნება გაწეული ადგილობრივ მცირე და საშუალო ზომის მეწარმეებთან, რათა მათი შესაძლებლობები და სერვისები (თუნდაც პოტენციური) ფართოდ იქნეს ასახული გზამკვლევაში.

ქართულ და ინგლისურენოვანი ილუსტრირებული გზამკვლევი ჩაიწერება CD დისკზე და ფართოდ გავრცელდება როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ დონეზე, მათ შორის შესაბამის საჯარო სტრუქტურებში, დოპლომატიურ კორპუსში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, შესაბამისი პროფილის მქონე სამოქალაქო საზოგადოებრივ და კომერციულ სტრუქტურებში, მათ შორის ტურისტულ სააგენტოებში.

გარდა აღნიშნულისა შეიქმნება ილუსტრირებული ქართულ- და ინგლისურენოვანი რუქა, დაიბეჭდება და გავრცელდება ყველა ზემოთ აღნიშნულ მხარეებს შორის.

3. ტურისტული ობიექტების მიმართულების განმსაზღვრელი სტენდების მონტაჟი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

საპროექტო გუნდი მის ხელს არსებული ინფორმაციის საფუძველზე დაამზადებს და დაამონტაჟებს სტენდებს შესაბამისი ტურისტული ობიექტის ლოკაციის მითითების მიზნით, რომელზეც ასევე დატანილ იანება ობიექტის სახელი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) და სილუეტი.

4. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მოქმედი მცირე და საშუალო ზომის მეწარმეების, ასევე დამწყებების შესაძლებლობების გაფართოება ტურიზმზე ორიენტირებული სამეწარმეო საქმიანობის მართვის სფეროში

პროექტის ფარგლებში წინასწარი კონსულტაციებისა და შესაბამისი საინფორმაციო

კამპანიის განხორციელების საფუძველზე იდენტიფიცირებულ იქნება 40 მოქმედი მცირე და საშუალო ზომის მეწარმე, ასევე დამწყებები, რომლებსაც გააჩნიათ სურვილი/პოტენციალი ჩაერთონ ადგილობრივ დონეზე ტურიზმის განვითარების პროცესში და შესაბამისად დაგეგმონ და განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა.

პროექტი მოიწვევს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაძლებლობათა განვითარებაზე ორიენტირებული სატრენინგო პროგრამის რეალიზებას წინასწარ იდენტიფიცირებული პირებისათვის. შემუშავდება სატრენინგო პროგრამა და მოდული, ასევე მომზადდება სატრენინგო სასწავლო-საცნობარო მასალები.

შესაბამისად პროექტის ფარგლებში ჩატარდება ორი, 3 დღიანი ტრენინგი 40 პირისათვის, რომლებიც დაიყოფიან ორ სასწავლო ჯგუფად (20 პირი ერთ ჯგუფში) და რომელიც მთლიანად დაეთმობა ტურისტული ბიზნესის დაგეგმვისა და რეალიზების საკითხებს, მათ შორის: ტურისტული ბიზნესის მართვის სპეციფიკა, სამომხმარებლო ბაზრის ანალიზი, ბიზნეს გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, საგადასახადო კანონმდებლობა, ფინანსური კაპიტალის მოზიდვის გზები და არსებული შესაძლებლობები, მარკეტინგი.

სატრენინგო პროგრამის ფარგლებში მოწვეულნი იქნებიან როგორც ადგილობრივი, ასევე დედაქალაქში და რეგიონში მოქმედი მიკროსაფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები, რომლებიც ჩაატარებენ პრეზენტაციას საკრედიტო რესურსების მობილიზების გზებსა და შესაძლებლობებზე მცირე და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად. ტრენინგის მონაწილეებს ასევე განემარტებათ საკრედიტო რესურსების მოძიების სამართლებრივი/პროცედურული მხარეები.

გარდა აღნიშნულისა, სატრენინგო პროგრამის ფარგლებში მონაწილეებს გაეცნობათ პროექტის ფარგლებში შემუშავებული თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების გრძელვადიანი სტრატეგია, რათა მათ ნათელი წარმოდგენა შეექმნათ ადგილზე არსებული ტურიზმის განვითარების მიმართულებებისა და პოტენციალის შესახებ.

სატრენინგო პროგრამის ფარგლებში მოწვეულნი იქნებიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რათა მონაწილეებს გააცნონ მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების ხედვა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის არსებული დინამიკის და მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის მოქმედი მხარდაჭერის პროგრამების თაობაზე.

მოსალოდნელი გავლენა და მდგრადობა:

პროექტის რეალიზება ხელს შეუწყობს შემდეგი ხასიათის რაოდენობრივი შედეგის მიღწევას:

- შემუშავდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების გრძელვადიანი სტრატეგია;
- ჩატარდება ინდივიდუალური ხასიათის პრეზენტაციები და სტრატეგია წარედგინება პრემიერ-მინისტრის აპარატს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამინისტროს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, საპარტნიორო ფონდს, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციასა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს, მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაარსებულ თეთრიწყაროს მუნიციპალური განვითარების ფონდს;
- შემუშავდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის არსებული ტურისტული ობიექტების საპრეზენტაციო ბროშურა და ვიზიტორთა გზამკვლევი, ასევე რუქა, რომელიც შემდგომში გავრცელდება ყველა დაინტერესებულ მხარეებს შორის;
- მოხდება ტურისტული ობიექტების მიმართულების განმსაზღვრელი სტენდების მონტაჟი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში;
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მოქმედი მცირე და საშუალო ზომის მეწარმეების, ასევე დამწყებებისათვის ჩატარდება 2, 3 დღიანი სატრენინგო პროგრამა ტურისტული ბიზნესის დაგეგმვისა და რეალიზების საკითხებში.

პროექტის რეალიზების გრძელვადიანი შედეგი:

საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში პროექტის რეალიზება შესაძლებელს გახდის სრულფასოვნად გაანალიზდეს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის არსებული შესაძლებლობები, პრობლემები და გამოწვევები და აღნიშნულის შედეგად შემუშავდეს შესაბამისი სახელმწიფო მიდგომები და ხედვები ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

გარდა აღნიშნულისა, პროექტი ხელს შეუწყობს ვიზიტორთა სრულფასოვან ორიენტაციას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რაც შექმნის სასურველ გარემოს მათი დასვენებისა და თავისუფალი დროის ეფექტურად გამოყენებისათვის. უფრო მეტიც, პროექტის ფარგლებში მომზადებული მცირე და საშუალო ზომის მეწარმეები შეძლებენ წარმატებით გაართვან თავი ტურიზმზე ორიენტირებული სამეწარმეო საქმიანობის მართვას, რაც თვის მხრივ გაზრდის მათ ფინანსურ მდგრადობას, გააჩენს ახალ სამუშაო ადგილებს და გამომდინარე აღნიშნულიდან შეამსუბუქებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ რისკებს.

პროექტის მდგრადობას უზუნველყოფს რიგი ფაქტორების არსებობა:

- პრემიერ-მინისტრის აპარატის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამინისტროს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, საპარტნიორო ფონდის, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციასა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს, მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაარსებული თეთრიწყაროს მუნიციპალური განვითარების ფონდის ინფორმირებულობის მაღალი დონე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული პოტენციალისა და მისი ჯეროვნად გამოყენების შესაძლო მიმართულებების თაობაზე, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელს გახდის შემუშავდეს და რეალიზებულ იქნეს სხვადასხვა ხასიათის სამთავრობო პროგრამები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განსავითარებლად;
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მოქმედი მცირე და საშუალო ზომის მეწარმეების, ასევე დამწყებების გაფართოებული შესაძლებლობები, რათა წარმატებით გაართვან თავი ტურიზმზე ორიენტირებულ სამეწარმეო საქმიანობას.

რისკები (მაქს. 100 სიტყვა)⁵

პროექტის ფარგლებში შემუშავებული თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების გრძელვადიანი სტრატეგიის შესრულების კუთხით არსებობს დაშვება იმისა, რომ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შედეგად არჩეული ადგილობრივი ხელისუფლების ახალი შემადგენლობა შეცვლის მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტებს.

პროექტი არ მოიზარებს სხვა რაიმე რისკს, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მის რეალიზებაზე, როგორც ხარისხობრივი, ასევე დროის თვალსაზრისით.

განხორციელების მეთოდოლოგია (მაქს. 300 სიტყვა)⁶

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო ხელს შეუწყობს პროექტის რეალიზებას, კერძოდ უშუალოდ ჩაერთვება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების პროცესში და საექსპერტო გუნდს გაუზიარებს მის ხელს არსებულ ინფორმაციას; ტექნიკურ დახმარებას გაუწევს საპროექტო გუნდს ტურისტული ობიექტების მიმართულებების განმსაზღვრელი სტენდების მონტაჟის პროცესში; ფართოდ ითანამშრომლებს პროექტთან და დახმარებას გასწევს სატრენინგო

პროგრამისათვის მიზნობრივი აუდიტორიის მოზიდვის პროცესში.

აღნიშნული გრანტიდან გამოუყენებელი თანხა უნდა დაუბრუნდეს UNDP-ის.

ხელმოწერა:

თარიღი: 19 ნოემბერი, 2015 წ.